

თეატრი

საქართველო კვირადღის სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი

1889 წელსა

№ 6

შაბათი 5

გაზეთი ღირს: ერთს წლ. 5 მან.,
ნახევ. წლ. 3 მ., ცალკე №-15 პ.
სელის მოწერა მიიღება: თბილის-
ში რედაქციის კანცლარაში. Тиф-
лись, въ редакцію газеты
„ТЕАТРЪ.“ გაზეთი ისყიდება:
თბილისში, ჩარკვიანის წიგნის მა-
ღაზიაში და ბეზუხოვის სააგენტოში.

რედაქცია არა კისრულობს წერი-
ლების უკან გაგზავნას და მათ
შესახებ მიწერ-მოწერას.

გაზეთში დასაბეჭდათ გამოგზავ-
ნილ წერილებს უნდა ჰქონდეს მო-
წერილი სახელი, გვარი და ად-
რესი დამწერისა.

ახალი ამბები.

მომაკვალს კვირაში დანიშნულია ბენეფისი რუსულის დასის
არტისტის ლილინისა. ლილინი ნიკიორი არტისტი და თბილი-
ლისის საზოგადოებაც პატივს სცემს. საბენეფისოდ დანიშნულია:
„Друзья и пріятели“—კამ. სარდუსი, 4 მოქმედ. და „КОШКА
И ЛЮБОВЬ“—ვოდ. 1 მოქ.

ზირკელ შიესაში ბერდიშის როლს ქართული დასის ნიკიორი
არტისტი ვ. აბაშიძე შეასრულებს. როგორც ვხედავთ მეტად საუე-
რადლებოა ეს წარმოდგენა როგორც ქართველებისათვის, ისე რუ-
სებისათვის: ნიკიორნი ვომიკინი რუსულის და ქართულის დასე-
ბის ერთსა და იმავე შიესაში ითამაშებენ, და უნდა ვიფიქროთ,
რომ ვინც ამ წარმოდგენასე დაესწრობა ტყუილ-უბრალოდ არ
დაქკარგავს დროს.

წარსული კვირა გაოავდა ბ-„კანონისთვის“ „особеннымъ
событіемъ“-თი. რაშერის არტისტის ტარტაკოვის ბენეფისი იყო

და თბილისის საზოგადოებას, რასაკვირველია, „დიდსუფლად და-
 უფასებდა უკეთესი არტისტი თბილისის ოპერისა“. ამბობენ ვი-
 თომ ბ-ნი „კანოა“ „НЪСНОВАЛСЯ“; თურმე ანტრაქტებში სან-
 ვის ჰკითხავდა და სან ვისა წარმოდგენასე დამსწრე ქალებას ს-
 ხელსა და გვარს—„გამოსაცხადებლად“ თავის პატივცემულს გა-
 ზეთში. იმასაც ამბობენ ვითომ ერთს ემსწვილს კაცს დაუპტი-
 ცებია განხთვის, რომ ისინი ვისიც სახელს და გვარს
 კითხულობს ბ-ნი ვანო, პატიოსანი ოჯახის შვილები, ოჯახის
 პატრონები არიან და მათს სიღარბისლეში და პატიოსნებაში
 იჭვს არავინ შეიტახს, რაც უნდა გაიჭაჭხეს და ჯვარს ეტვას
 «Тиф. Листок»-ი. იმასაც ამბობენ, ვითომ ბ. ვანო დაჯერე-
 ბულა, რომ თავ-გასული ცილის წამება მთელს საზოგადოებაზე
 „Листок“-ს ხელის მომწერლებს ვეღარ შეჰმატებს და თავ-ზარ-
 დაცემული შინ გაქრეულა; ბევრი უფიქრია, ისეთი რა მოხმანოს
 ვისზედმე, რომ თუ ხელის მომწერნი აღარ შეემატებიან «Листок»-ს
 — ნომრები მანინტ გაიფიდას... დაის იმდენი უფიქრია, იმდენი, რომ
 სანოდავს ტვინის ძარღვები დაწვევითა თურმე და ისეთს მდგომა-
 რეობაში ჩავარდნილა, რომ... გაზ. „თეატრზე“ „დანოსის“,
 ვაგზავნას ავირებს...

გვწერენ:

თბილისილიამ. აქ დაანსდა „საზოგადოება“, რომლის წევ-
 რთაც გადაუწვევითათ ებრძოლენ ყოველს ძაგე ვიარს, ყოველს
 ბოროტებას. რამდენსამე წევრს ამ საზოგადოებისას, ბევრის ფიქ-
 რისა და მსჯელობის შემდეგ ცხადად დაუნახავს, რომ თუ ვინმე
 მოიგონებს, დაიწვევს ისეთს საქმეს, რომელიც თუნდ მთელის საქარ-
 თველოსათვის სასარგებლოც იყოს, მაგრამ არც ერთს წევრს, სსენე-
 ბულის „საზოგადოებისას“, ჯერ ფიქრადაც არ მოსვლია—მთელი
 ქვეყანა დაიღუპებაო. ამისათვის შესდგომიან იღონონ ისეთი რამ,
 რომლის საშუალებითაც შეუძლოთ ყველას მოუგვან ხალისი და
 სურვილი სასარგებლო საქმის დაწვევისადმი. თავდაპირველად, გან-
 სასარცოელებლად თავისის გარდაწვევითლებისა, „საზოგადოება“

სტდის დაბეჭდოს გუნიას კალენდარის მაგვარი კალენდარი, და თუ ვინიცაბა, აღმოჩნდება, რომ კარგ საშუალებებსათვის მიუგნით — შეძებვტ ზმ რიგათ შეებრძოლებიან ეოკველ გერძო პირის კეთილ-დაწყებულესასა...
 —

თელაეილამ. ბერს შებეძლო ბერი რამ მოგვეწება რედაქციებში თელაელების ცხოვრებილამ, მაგრამ საზოგადოებილამ გავგაძვებენ, როგორც მაგნე პირებს. ანა, თქვენა გკითხვთ, რა კაცი უნდა იყოს ის კაცი, რომელიც ყველა ნაკლებულესას არ დაჭედავს იმ საზოგადოებისას — რომელშიც თითონაც ცხოვრობს?!!

ქუთაისის ამბები

მშენიერი რამ არის ქუთაისი თავის ბუნებიერის მდებარეობით, არე-მართით და მისახედ-მოსახედღვით. მომხიბლავები არიან აქაური მცხოვრებლები თავიანთ თვალ-ტანადობით, სიკველუტით და თავაზიანობით. პირველს დღეებში რალაც სიამონებთ არის გატაცებული ის კაცი, რომელიც პირველად მოდის აქ. მაგრამ ნათქვამია, ყოველი სიამონება ამოა და დროებითიაო. ამ ნათქვამის სინამდელიღეს კარგად იგრძნობს ქუთაისის სიკეთით გატაცებული კაცი. საკმარია რამდენიმე კვირით იცხოვროს მან აქ, რომ დაინახოს რა სარჩულიც უძვეს ქუთაისის მშენიერს ზედაპირს.

ზარეგანის შეხედვით მშენიერი ქალაქი საზიზლარია თავის ქუჩებით, რომლებიც კარგის დარის დროს მტყერიანები, აედარში ლაფად და წუმპედ ვალაიქციეიან ხოლმე. მაშინ კაცი იძულებულია, მუხლებამდის ტალახში იაროს და წუმპებში ტოპოს. მთელს ქუთაისში ერთი ან ორი ქუჩა თუ არის დაფენილი; ტროტუარი ხომ არ იციან რასა ჰქვიან. დასასვენებლად და გასართობად ქალაქს გარეთ თუ წავა კაცი, თორემ თვით ქალაქში ხომ არ არის ისეთი მკუდრო

ალაგი, რომ მცენარეულთა შორის სულის დამამშვიდებელს აღმაფრენას მიეცეს. ერთად-ერთი სახეირო ალაგი არის პატარა ბალი, რომელსაც ბუღვარს ეძახიან და რომელიც ბირჟის მოედნად და სალაყბოდ გადაქცეულა. ქუთაისის ბულეარი მარტო შესახვედრს ალაგად არის კარგი, rendez-vous'-ებისთვის.

რაც ქალაქის ნაკლულევეანებაზე ვთქვით, ისიც კმარა. ის ისე სამძიმო არ არის, როგორც თვით მცხოვრებლებისა: ლაფიანსა და წუმპიანს ქუჩებს, როგორც იქნება, კაცი გაუძღვებს, მით უფრო, რომ კარგის ტაროსის ღროს ცხოველ-მყოფელი მზის სხივები სრულიად გააქრობენ ხოლმე ტალახს და წუმპეს. სამძიმო ის არის, რომ გარეთგან სასიამოვნო და მოხდენილი ქუთათურები ვერ იჩენენ ვერაფერში შინაგანს სასიამოვნო თვისებას. პირიქით, ძალიან იშვიათი არ არის აქ ისეთი მოვლენა, რომელიც არ შეეფერება სრულებით ზნეობიერებას და განათლებულობას. ამის ბრალია, რომ ამოდენა ქალაქს არაფერი მოეძევება რა იმისთანა, რომელიც ამტკიცებდეს, რომ ქუთათურებს ჰქონიათ ან ქვეყნის სიყვარული, ან კარგისა და მშვენიერის პატივისცემა, ან განათლება და ან განათლების სურვილი. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ქუთაისის მცხოვრებლები თითქმის სულერთიან ქართველის ტომისანი არიან.

ქუთაისში არ არის არც ერთი გაზეთი ან ჟურნალი. წელიწადი ისე გავა, რომ ერთი ჰაწია წიგნიც არ დაიბეჭდოს აქ. აქაურებს არა აქვთ წასაკითხად წიგნების შოვნის საშუალება, რადგან ბიბლიოთეკა არ არსებობს. აქაურს წიგნის მაღაზიებში სახელმძღვანელოების მეტი სხვა წიგნები არ იყიდება. რამე სამეცნიერო, ან სალიტერატურო, ან სახელოვნო დაწესებულება ხომ აზრადაც არა აქვთ.

მართალია, ერთს ღროს გაზეთიც იყო ქუთაისში, ჟურნალიც, მაგრამ ქუთათურებმა ვერ ახერხეს. ყოფილა ოდესმე ბიბლიოთეკაც, სამეურნეო საზოგადოებაც, მაგრამ დაშლილა

ერთიც და მეორეც. დღემდის თუ როგორმე ცოდვილობს და სულდგმულობს, ისევ თეატრია. ესეც იმიტომ, რომ თეატრი დიდს მოთხოვნილებას შეადგენს კაცის სულისა და გულისათვის. რომ რამოდენიმე მოგვეპოვება სული და გული, იქითვან ჩანს, რომ თეატრი ჩვენში არ მოსპობილა და არსებობს. მაგრამ ვაი ამ არსებობას. ორს თვეში ერთხელ გამართვენ წარმოდგენას, რომლითაც თვალწინ წამოგვიდგება ხოლმე მარტო ჩვენი დაუდევრობა, სიზარმაცე, უგულობა და უსულობა.

აქაურებს რომ ჰკითხოთ, რა არის მიზეზი თქვენის ასეთის უაზრო და უსაგნო ცხოვრებისაო, გულწრფელად გიპასუხებენ: ჩვენი სისაძაგლე, გაუტანლობა, ორპირობა, კლიაუზნიკობა, დანოსჩიკობა და სხ. მართლაცა და, ჩვენ სავალალოდ, ეს ზნეობიერი ნაკლულევენებანი ისე გავრცელებულები არიან აქეთკენ, ისე ვასჯდომიათ სისხლსა და ხორცში აქაურებს, რომ ვერც განათლებას, ვერც მთავრობას, *) და ვერც საკუთარს სურვილს ვერ ამოუფხვრია. ასეა, როცა რომელსამე ზნეობიერს სენს გაიჩენს კაცი, მისი ყმა ხდება, მას ემორჩილება თავის უნებურად და ბევრჯერ თავის გაუგებრადაც. ხანდისხან თვალის ახვევა იქამდის მიდის, რომ სისაძაგლეს ჩადის და ჰგონია კარგსა ვშერებიო; დაბეზლება მხილებად მიაჩნია, ცილისწამება მართლის პირში თქმად.

ქუთაისში ბევრნი არიან ძალიან სიმართლიანი და პატიოსანი პირები, მაგრამ მათ ვერაფერი გაუკეთებიათ-რა, რადგან გზაში ათასი დაბრკოლება ხედებათ ავის კაცებისაგან. ეს ავი კაცები მაინც და მაინც ბევრნი არ არიან, მათთან ბრძოლა ადვილი იქნებოდა, რომ საზოგადოების მომეტებუ-

*) არა ერთხელ გამოუციათ ბრძანება საერო და სასულიერო მთავრობას, რომ ხელ მოუწერელი დაბეზლების ქაღალდი არ შეიწყნარებო, მაგრამ ამნაირი დაბეზლება ფერაც არ გადავარდნილა.

ლი ნაწილი, ხასიათით, ცოდნით და განათლებით სუსტი
 —აეის კაცების გავლენას უფრო არ ემორჩილებოდეს.

ა. სიონელი.

ბიძი ჩემის უბის წიგნიდამ.

წარსულს ქრისტიანობისთვის, რომ გენახეთ, გამბობ-
 ზდით რა დიდის ამბით და იმედებით მოველოდდი ახალს
 წელიწადს. იმედი მქონდა, რომ დადგებოდა თუ არა ახალი
 წელიწადი, მაშინვე ყველა ძველი და უფარგისი შეგვეცვლე-
 ბოდა ახალზე.

დადგა ახალი წელიწადი. ერთი თვე კიდევ გადავაგო-
 რეთ, მაგრამ იმედები ჯერაც არ მისრულდება. ისევ ძველი
 „ვანო“, ისევ ძველებურად ლანღვა და თრევა საზოგადოე-
 ბისა, ხანდახან მთელის ჩვენის ქვეყნისაც კი; ისევ ძველებუ-
 რი შური ერთმანეთისა, ისევ ძველებურად ცრუ ლიბერალო-
 ბა ყმაწვილ-კაცთა, ისევ ძველებურად მარტო ლაპარაკი სა-
 ზოგადო საქმეებზე და ხელის გაუნძრევლობა, ისევ... ყვე-
 ლაფერი ძველებურად, ძველი და... ძველი.

მთელი გამიტყდა. ბიძი ჩემის, გამოცდილის კაცის, უბის
 წიგნი, რომ არა მქონდეს ნუგეზად—მოსალოდნელსაც კი აღარ
 მოველოდებოდი, ყველაფერზე იმედს გადავიწყვეტიდი. კიდევ
 ეს წიგნი მაცოცხლებს, მაიმედოვნებს, თორემ თქვენი მტე-
 რი, რომ ჩემის, სასოწარკვეთილებას მიცემულის, თავის საქ-
 მე იქნებოდა. ამისთანა გაჭირებაში ამ „წიგნს“ მივმართავ
 ხოლმე და მასში ვპოვებ დამშვიდებას,—გავერთობი ხოლმე.

აბა მაშ ვნახავ რას მეტყვის, რა იმედებს მომცემს:

„პართულ თეატრზე“

(წინასწარ-თქმისი)

„1889 წელი დიდად შესანიშნავი წელიწადი იქნება. ძა-
 ლიან დიდი ზამთარი უნდა იყოს. ვინც ჭკუას ძალას და-

ტანს, ტენი გაეყინება და თაე-ცანცარა გახდება. ქუჩები და საწყალი ხალხის სახლები სულ გაიყინება, ასე რომ ქალაქის გამგეობისაგან დარიგებული ქვის ნახშირიც-კი ველარ გაათბობს.“

„საზოგადოდ ყველას, და განსაკუთრებით იმათ, ვისაც საზოგადო საქმისათვის ხელი მოუკიდია მარტო ჰირადი სარგებლობისათვის—დიდი სიფრთხილე ჰმართებთ: შეიძლება ფეხი მოუსხლტეთ და ყინულზე თაე დასთხლიაშონ. ამისთანა შემთხვევა საუბედურო იქნება: ცანცარა თაე დაცემისაგან გაულაყდებათ და, შეიძლება, ისეთი რამ ჩაიდინონ, რაც გამოაშკარავებს მათს დაფარულს სურვილს“. სწორე მოგახსენოთ ვერ გამოიგია ეს „წინასწარ-თქმა“... „Листок“-ზე რომ ყოფილიყო ნათქვამი, კიდევ ჰო, —ვიფიქრებდი რომ ბ-ნს „ვანო“-ს სიცივისაგან ალბად ტენი გაულაყდა, რომ გამოაშკარავდა მისი პოლიტიკა: იქუხა, იგრგვინა და იქეჟა მათ წინააღმდეგ, ვისგანაც ხელის მოსათბობს მოელოდდა... მაგრამ ქართულ თეატრის საქმეს კი, ვგონებ, ეს არ უნდა შეეხებოდეს. ალბად, ბიძა ჩემს „ქართულ თეატრზე“—შეცდომით ჩაუწერია-სხვა ვერაფერი მიფიქრია. თუ ქართულის დასის რეჟისორზეა—ესეც არა მგონია. რეჟისორი, ამბობენ, (რასაკვირველია ისინი, ვისიც არც კალა მიდის და არც ნიშადურე), —პატიოსანი კაციო. პატიოსანი კაცი ხომ, როგორც ვიცით „ჰირადი სარგებლობისათვის“ თავის დღეში საზოგადო საქმეს, და განსაკუთრებით ისეთს, როგორც არის ჩვენი ნორჩი თეატრი—ხელს არ მოჰკიდებს. სახარბიელო რომ იყოს რამე—კიდევ ჰო, თორემ 75 მანათისათვის თვეში, ვანა, ვიმეორებ, იკადრებს ამს?! აბა რა სათქმელია!! კაცი, რომელსაც არამც თუ უგრძნია—გაუგონია რა არის სინიღისი, პატიოსნება, —თავის დღეში არ იტვირთებს იმისთანა საქმეს, და ისიც საზოგადოს, რომელიც სრულგებით არ იცის, არ გაეგება. ეხლანდელმა რეჟისორმა ხომ იმდენად იცის თეატრის საქმე, რამდენადაც „სამეურ-



მსაჯული, — ეს, რამდენჯერ დაუჭერიახართ? შენა დღენა
 ქურდობაში უნდა გაატარო?

ბრალდებული. — ბან ჩუნეს? ანა, შე დაღოცვიღო, ქურ-
 დობა რამ არ იყოას, თქვენ რით უნდა იცხოვროთ?!!



უპრავის მეტრი.—ფართუკა რატომ სუფთა არა გაქვს?
 ბაყალი: ერთი ხელი აიღე მამა გიჯხონდა და!.. მე ამისი
 შიჯხვენან, რომ ფართუკა გამაკეთებინეთ... არა რამეღო
 “წავედენკა: ვარ, შენი ჭირიმე?! სჯალ იმასჯ მეტყევ არა-
 ლინჯრბა“ დაისურეო!!!

ნეო“ გაზეთის რედაქტორმა—ჩვენი მიწა-წყალი და მეურნეობა. ეს რომ ასე გახლავთ, მე მოვიყვან იმისვე სიტყვებს.

როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, დრამატიულ დასის არტისტს ბ-ნს აბაშიძეს, უსიამოვნობა მოუვიდა იმავე დასში ჩარიცხულ ქალთან თ—სასთან. რეჟისორმა—აბაშიძე დასილამ დაითხოვა. შემდეგ, ორივემ: აბ-ძემ და რეჟისორმა მიჰმართეს სამს, თავიანთ ნაცნობს კაცს, და სთხოვეს მედიატორულის წესით გაერჩივით მათი საქმე. აი, ამ მედიატორეთა წინაშე ბ-ნმა ვ. სულხანიშვილმა აღიარა, რომ, თუმცა რეჟისორი მე ვიყავ, მაგრამ, რადგანაც თეატრის საქმე ისე „კარგად არ მესმის“—დაევალე ბ-ნს აბაშიძეს, როგორც საქმის მკოდნე აქტიორს, ჩემი ადგილი დაეჭირა და თავის ამხანაგებისათვის შეცდომები გაესწორებინა ხოლმეო...

მე მჯერა ბ-ნი ვ. სულხანიშვილის გულწრფელი სიტყვები, ამისათვის ვერ დავიჯერებ, რომ მოყვანილნი „წინასწარ-თქმანი“ მას ეხებოდნენ, რადგან პატიოსანს კაცს-საზიზღარი ქცევა არა შეჰმევენს...

ზემოხსენებულ მოსახრებათა გამო, მე ვფიქრობ, რომ ბიძა ჩემს, „ქართულ თეატრზე“ შეცდომით დაუწერია... მეტი ღონე არ არის, ვეცდები გამოვიცნო რაზედ, ან ვისზედ აქვს ჩაწერილი მოყვანილი სიტყვები და, თუ მიეხვდები, მკითხველებსაც მოვანსენებ.

ექვთიმოძე.

მზაპრობა.

(თარგმანი)

თხზ. ვაშინგტონ ირვინგისა.

აშუკინის მთებში, კარლ და უსეირლ გზაში, მიიძღვება მძიმედ ერთი ძველი და დიდი კელი. ეს ის გზა გასლავთ, რომ-

მელხედან ძალიან ძვირად შესყდებით სოფლებს, ისტორიულ ძველს ნანგრევებს, მგზავრს და სხვა. აი სწორეთ ამ გზაზე მიტოვდა ის ეტლი, რომელიც ზირველსავე შესედვასე მოგზაგონებდათ ძველს დროს. ეტლში იჯდა ერთი, სამხედრო ტანისამოსში შემოსილი, მალაღ-ტანისა, ჭადარა შერთული კაცი. ამას გვერდით უჯდა ახალგაზდა თვრამეტის წლის ქალი. წინ, მკეტლეს გვერდით, იჯდა ამათი მოსამსახურე, ისიც წვერ-ულვას ში ტათოტრებული, დაღრემილი ხანის პატრონი და ულასათოდ ჩამძული, მაგრამ ზირველ შესედვასე ეტუობოდა, რომ ეს კაცი წინად კარგი ვაჟ-კაცი და მეომარი იქნებოდა. ეს ეტლი ეკუთნოდა ერთს, ზოლშის გამოხენილის გვარის კაცს, გრაფს, რომელსაც წინად კარგი, მდიდარი ცხოვრება ჰქონდა, მაგრამ შემდეგ ბედმა უმტყუნა და გამოერნია კიდეც მდიდრების წრეს. გრაფი რამოდენიმე ხანი სცხოვრებდა ევროპის დიდ ქალაქებში თავისის ქალის აღსაზრდელად, რომელიც ჰყვანდა ნუგეშით და მიზნად თავის ცხოვრებისა. მაშინ გამოიყვანა თავის ქალი დიდს და მალაღ საზოგადოებაში, სადაც თავის ნიჭით და სიმშვენიერით მიიზიდა ბევრის ყურადღებას და რომ ღარიბი ახსნაურ შვილის ქალი არა ყოფილიყო, ბევრი ჩასთვლიდა თავის თავს ბედნიერად დაესაკუთრებინა მისი უმინკო და ჯერ არავისთვის გაღვიძებული გული. ცოტა ხნის შემდეგ, თავის ჯანის სიმრთელესთან, დაჭკარვა ამ ქალმა თავის სიმშვენიერეც, მხიარულება, თერი და ძალიან დაფიქრინადა. გულ-კეთილი მამა შეწუნდა შვილის ამ გვარ მდგომარეობით; — „ჩვენ უნდა მოვკებნოთ სხვა რომელიმე ადგილი საცხოვრებლად და ჭკერი გამოკვიცვალათ!“ სთქვა გრაფმა და ორის დღის შემდეგ ძველი ეტლი შეუდგა აზზენინის მთებს. მათ ჰყვანდათ, მხოლოდ ერთი თანამოგზაური — კახპარი, რომელიც ამათ სასლში დაიბადა და მოსუცდა. ეს მოსუცი გულმოდგინეთ და ერთგულად ემსახურებოდა თავისს პატრონს და თუ შემთხვევა მოიტანდა არც თავს დაზოგავდა სასიკვდილოდ პატრონის გულისათვის. ამ გვარად უყვარდა მოსუცს გრაფის ქალიც, რომელიც ამის ხელში დაიბადა და გაიზარდა.

სადამომ მოატანა, თითქმის დახსულა კიდევ, რომ ჩვენი მგზავრები ისევ ვიწრო გზაში იყვნენ, შეეტლეთ ვიეტნამი და ჰკრა სამი ჯამი ღვინო და გაუდგა ნელის ღვინოთ გზას. ყველას ესურდა მალე მისულიყო ბინასე და მოესვენა, მაგრამ მას-ღობელი სოფელი ჯერ კიდევ შორს იყო. ვიეტნამ არ აქცევდა უურადლებას არც გრაფის სვეწნას, არც კასპარის ჯანრობას და არ აჩქარებდა თავის ცხენებს... შავი ღრუბლები ჩამოწვა მთების წვერებსე, დაიწყო ქინუვლა და ცოტა არ იყოს, აწვიდა კიდევ. გრაფმა ველარ მოითმინა ეტლის ზღაზღვით ტარება და შეჰკვივლა ვიეტნამს „გაუჩქარე; ასე რომ ვიარათ, გათენებამდინაც ვერ მივალთ იმ ოსერ სოფელში.“

— აგერ, კიდევ მივკვდივთ ბატონო, უზასუსა ვიეტნამი.

— „აბა?“ ჰკითხა გრაფმა.

— აგე, აგე! და გაიშვირა თითი მარცხნივ, სდაც ერთი რაღაც ძველი, დანგრეული შენობა გამოჩნდა.

— როგორ, მანდ უნდა ჩამოვსტეთ? სულაც არა ჰგავს სასტუმროს და მეორეც ესა, ავი სოფელში უნდა მივსულიყავით ღამის გასათენებლად“.

ვიეტნამ მოჰყვა სვეწნას და ბოდვის ხდას, რომ ცხენები ძალიან დაღალული ჰყავს და ვერ მიასწიკენ სოფელამდინ.—, „მინც და მინც, თქვენო ბრწყინებულებავ, — განაგრძო ვიეტნამი — ამასე უკეთესი ბინა თქვენ არ გინდათ და ვერც შესვლით ამისთანა სასტუმროს; ეს სასტუმრო კი არა — ნამდვილი გოშკია, უწინდელი ძეგლების სასახლე: იქ კარგი ხალხი დატკვლებათ, კარგი სატკველები და ერთი სიტყვით ისე თავისუფლად მოისვენებთ, როგორც თქვენს საკუთარს სასლში.“

გრაფის დათანხმება ძალიან ადვილი იყო, რადგანაც თვითონვე შიშობდა, რომ ქალს არ შესცივოდა გზაში. ამ ღამარაკის დროს კიდევ შევიდნენ ალაუფის კარებში.

ეს შენობა მართლაც ჰგანდა ვიეტნამისგან აღწერილს სასახლეს. უწინ ეს სასახლე ეკუთნოდა ერთს ვილაც პრინცს, რომელიც სშირად ნადირობდა ამ მხარეს. ხალხი, რომელიც მიე-

გება მგზავრებს, წარმოადგენდათ მკვდრის მგზავრებას — ისეთი გაფითრებული და ყვითელი სახის ფერი ჰქონდათ. ყველას ძალიან ესამოგნათ ზიეტროს ნახვა და ეტუობოდა, რომ ზიეტროს მკვობრული კავშირი ჰქონდა სასტუმროს მოსამსახურეებთან. შემდეგ გამოჩნდა სასტუმროს ჰატრონი-ქალი, გაუძღვა წინ სკუმრებს, გაატარა დიდრონი, დანგრეული და ბნელი ოთახები, შემდეგ შეიყვანა ერთს უშველებელს მკვლს დარბაზში, რომელიც უფროსუფთა და ღაზათიანი იყო. დარბაზის დანგრეულ კედლებზედ აქა-იქ ეკიდა გამტკრიანებული სურათები, თითონ დარბაზი ორ საწოლ ოთახად იყო გაყოფილი დაფუტურებული და გამტკრიანებული ფიფრებით; ამ ფიფრებში ერგო დაქანგებული და მსხვილი ყაღაღები; თუ ვინცოდა დასამინებლად შემოვიდოდა ვინმე, ამ ლურსმებზედ უნდა ჩამოეკიდნა ტანისამოსი. თავით ბოლომდე კედლებზედ ორი ტასტი იყო მიდგმული, მაგრამ ძალიან სიფრთხილედ მართებდა ვინცოც წყდ მოიწადინებდა ასვლას: თუ ერთი ფეხი ადრე ადგა, მეორეზედ, ტასტიც გადმოკარდებოდა და თითონაც სომ მოიტესდა რასმეს. შიგ შუა დარბაზში იყო ჩასმული ერთი უშველებელი მუსა, სვეიდაცნ დამოწილი; ეს იყო უძრავი სტოლი. გრანფს არ მოეწონა ოთახის მოწყობილობა, მაგრამ მეტი რა ჩანა ჰქონდა.

მგზავრებს გზაში შესცივდათ, მოითხოვეს ცეცხლი და ერთოთ, მაგრამ ფიჩხი სველი იყო, ბოლსაც პუნარში სასვლეული გზა არა ჰქონდა და იმისთანა კოჩიანტელი დადგა, რომ ჩვენი მგზავრები ერთმანეთს ვერა სედავდნენ-

მსოფლოდ ერთი არ ვთავისებოდა ამ სიღარიბეს, ეს განვლდათ სასტუმროს ჰატრონის ჩანძა. ოთხი თითი ისე მორთული ჰქონდა ძვირფასის ქვის ბუჭლებით, რომ ვერ შექმლო კაცს შექნენდა; ერთს მაჯაზე ჰქონდა მარჯანი, მეორეზე ვრტყელი და მსხვილი სამაჯური, გულზედ ბრილიანტის ქინძისთავი. მივიდა გრანფი ცეცხლის გასასწორებლად, ვითომ ერთათ უნდა მოეგრეკებინა, მაგრამ ჩუჩხუნძა სელმეორედ ბოლი დააყენა და გამობრუნდა, შექნენდა თავის ქალს, რომელიც კუთხიდან დაღონებული გამოიურე-

ბოდა, მეტე გადაჯგულ თვალი გამჭვარტლულ კედლებს, ამოიხს-
რა, დასტერდა ერთს ადგილს და ღრმა ფიქრის შეძვეგ, თით-
ქოს გამოღვიძებულმა, დაუწყო ისევე წერსლს ბერვა. ბუნებით კე-
თილი მამა იყო მხიარული კაცი, იწნება სიღარბემ სულ სხვა
ნაირათ შეუგვალა ხასიეთი, მაგრამ თავის ქალის სიყვარული ბერს
ამისთანა ნაკლულეკანებს ათმენებდა.

იმასეღ წუდი არა არის რა, თუ დაღაღულ დაწვეტილ
მგზავრს წუდი მოსამსახურე შესვდა. გრაფმა ბერი ითმინა აქამ-
დინ, მაგრამ როცა დაინახა, რომ ბოლისგან თვალები ეწვოდა
იმის ქალს, უბრძანა იქვე მდგომს მოახლეს სმელი შეშა მოეტანა.
გაჯავრებული მოსამსახურე გამობრუნდა ბუტ-ბუტით, შემოიტანა
ერთი კონა ფინხი, მაგრამ წამოჭკრა კარებს ფეხი, მთარტყ თა-
ვი კედელს და საფეთქელი გაიტყნა; რამოდენიმე წუთი უგონოთ
ეგდო ძირს და თქრიალით სისხლი სდიოდა, ბოლოს როცა მო-
ვიდა გონს, დაინახა რომ გრაფის ასული თავის საკუთარ ცხვირ-
სახოცით უხვევდა ჭრილობას; გაკვირვებულმა მისახურმა გამოხ-
ტაცა სული გრაფინიას და რამოდენიმე ხანი ჰყოცნა.

სინუმე დაარღვია ახლად მოსულმა მგზავრმა. ეს გახლდათ
ისპანიის პრინცესა მრავალის ხალხით. შედგა ერთი ჩოჩქალი:
სასტუმროს პატრონი გაეჩქარა მისაგებებლად, მოსამსახურეები
სულ გარვიდნენ, მხოლოდ საწვალე გრაფი თავის ქალით და ვაშ-
მით დარჩა უყურადღებოთ. მოხუცებული კასპარი ივინებოდა
ჩუმად და ილახებოდა მაგრამ ვისთან რას განწეობდა.

ამ აღიქოთზე წამოდგა პატარა გრაფინია, მივიდა ფანჯარასთან
და დაიწყო წქერა კარში. ეტლიდგან გადმოხტა ერთი ემაწვილი
კაცი, მიწოდდა სული შიგ მჯდომს მოხუცებულს პრინცესას, რო-
მელიც რკალსაკით მოხრილიყო და ჯოხის საშუალებით დაიარე-
ბოდა. ემაწვილი კაცი იყო მშენიერი, წამოსადეგი და ტანადი. მი-
სი ღამაში და დიდრონი თვალები ძალა უნებლიედ, მიიზიდავ-
დნენ ეველას, კინცეი მას შესედავდა. ყოველ მისრვა-მისრვაში
რალავ სიძარტლე და სიწოცსლე ეტყობოდა. ახლგაზდა გრაფინია
თითქოს შემინდა მისი დანახვით, ღრმად ამოიხსრა და დახურა

ფანჯარა; რას ნიშნავდა ეს ამოცანა ან ვიცი, მაგრამ იქნება მი-
ზეზი ის იყო, რომ პრინციპს მკითხვის ეტლის დანახვაზე
მას მოაგონდა თავის წარსული დრო, როდესაც თვითონ უკეთეს
ცნობებსში იყო? ასეა თუ ისე, ფერ წასულმა გრაფინამ მოსუ-
რა ფანჯარა, მივიდა წინდაწინდელ ადგილას, ჩამოჯდა კუთხეში,
დაბჯინა ნიდაფზე თავი და გატურებით დაუწყო ტყეხლს ურება.
გრათს თავის ქალი ან ეჩვენა თავის ფერზე და უთხრა:

— „იქნება უქეიფოთა ხარ, ჩემო მშენებელა“

— „არა გენაცვალე მამა, არა მიშავს-რა!“ გამოართო ხელი,
შესედა ღიმილით თვალებში, მაგრამ საზიზღარმა ტრემამ
უღალატა დაფარვა, ჩამოტურდა ღამას ლოყაზედ და ძალა უნე-
ბურად ქალს სასე დამაღვინა.

— იქნება გზაში შეგცივდა, გენაცვალეს მამა. აქ რაღაც მო-
აწვა ეელზედ ძლივს შეიმაგრა ტირილისგან თავი და წაი-
ლულელულა — დაწეკ შენი ჭირიშე და სვალ სრულებით მრთელი ას-
დგები; ამ დროს გაცხარებული შემოკარდა სასტუმროს პატრონი
და გამოუცხადა, რომ რადგანაც სხვა ოთახებში ეველგანა ცივა
და არც ერთს მათგანს არა აქვს ბუნარი, ამიტომ პრინციპს ამ
დარბაზში უნდა მივიღოთ. ვერც კი მოასწრო ამ სიტყვების და-
თავება, რომ შემობრძანდა პრინციპს თავის ძმისწულით. გრაფმა
იცნო მაშინვე ეს ქალი, მიეგება დიდის სიამოვნებით. ემაწვილი
კაცი, პრინციპს წმისწული და მეკვიდრე მისი, წინათვე იცნობდა
პატივცემულს გრაფს, გრაფინიაც კარგად იცნობდა ამ ემაწვილს
კაცს, რომლის სასელიც განიქმული იყო მთელ საზოგადოებაში,
ხმა იყო გავრცელებული, რომ ვითომ ეს ემაწვილი კაცი დანიშ-
ნულია ერთს ძალიან მდიდრისა და გამოჩენილის გვარის ქალზედ.

(დასასრული იქნება)



რედაქტორი და გამომცემელი ალ. ნობიერიძე.

ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА ЕЖЕДНЕВНУЮ ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКУЮ ГАЗЕТУ

„КАВКАЗЪ“.

Въ 1889 году газета „Кааказъ“ будетъ выходить подъ прежною редакцію и по прежней программѣ, ежедневно, не исключая и понедѣльники.

Подписная цѣна:

СЪ ПЕРЕСЫЛКОЮ:

Съ доставкою въ Тифлисъ.	По имперіи.	По почтовому союзу:
На годъ . 11 р. 50 к.	На годъ . 13 р. — к.	На годъ . 18 р. 40 к.
„ 1/2 года . 6 „ — „	„ 1/2 года 7 „ — „	„ 1/2 года 10 „ —
„ 3 мѣсяца 3 „ 50 „	„ 3 мѣсяца 4 „ — „	„ 3 мѣсяца 6 „ —
„ 1 мѣсяць 1 „ 50 „	„ 1 мѣсяць 1 „ 75 „	„ 1 мѣсяць 2 „ —

Подписка принимается исключительно въ конторѣ редакціи. Тифлисъ, уголъ Головинскаго проспекта и Барятинской улицы, домъ Ротинава. Для иногородныхъ адресовать: Тифлисъ, въ редакцію газеты „Кавказъ“.

